ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

გზამკვლევი მცირე და საშუალო აგროსაწარმოებისთვის

სტანდარტების შესაბამისი პროდუქტის წარმოებისთვის

ISET
International School of Economics at TSU
Policy Institute

სიდა 15

ათინათი

EXPORT DEVELOPMENT ASSN.
everything's covered!

პროექტის შესახებ

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდამჭერი ინიციატივა“ (FASSI) ფარგლებში. პროექტის განმახორციელებლები არიან: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ასოციაცია „ათინათი“, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA).

პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო აგროსაწარმოების ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში დახმარებას, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების გაძლიერების გზით.

DCFTA

2014 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ამოქმედდა, რომლის ნაწილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA). ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს. საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს შორის, ვისთანაც ევროკავშირს გააჩნია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DCFTA გულისხხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საკანონმდებლო დაახლოების შედეგად შესაძლებელი გახდება არასატარიფო ბარიერების გადალახვა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად ზღუდავს ვაჭრობას, ვიდრე ტარიფები.

შეთანხმების სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეტაპობრივად მოხდება ქართული კანონმდებლობის დაახლოვება ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებთან. აღნიშნული, ერთის მხრივ, გაზრდის ქართული პროდუქციის ხარისხს, ხოლო, მეორეს მხრივ, გაამარტივებს ქართული საქონლის ექსპორტს ევროკავშირის ქვეყნებში.

მეწარმეებმა, წარმოების პროცესში, ყურადღება უნდა მიაქციონ ახალ სტანდარტებს და ყველა იმ საკითხს, რომელზეც საუბარია აღნიშნულ ბროშურაში.

ეტიკეტირება

საკანონმდებლო ჩარჩო

სურსათის ეტიკეტირება საქართველოში შემდგომი საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება

1. **სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, 2012 წლის 5 მაისი**
2. **საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება N441 ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის ეტიკეტირებისადმი დამატებითი მოთხოვნების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე**
3. **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილება N301 ტექნიკური რეგლამენტის „მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე“ დამტკიცების შესახებ**
4. **საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“, 2014 წლის 11 დეკემბერი**
5. **საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის დადგენილება N330 „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების წესის“ დამტკიცების შესახებ**

წყარო: www.matsne.gov.ge

ეტიკეტირებისას გასათვალისწინებელი მოთხოვნები:

ეტიკეტზე სავალდებულო ინფორმაცია:

- პროდუქტის დასახელება; წარმოშობის ქვეყანა;
- ინგრედიენტების ჩამონათვალი მასის კლების მიხედვით;
- ნეტო წონა (კგ, გ; ლ, მლ); სპეციფიკური თვისებები;
- დამზადების თარიღი - რიცხვი, თვე და წელი;
- მწარმოებლის, დამფასოებლის, დისტრიბუტორის, იმპორტიორის ან ექსპორტიორის დასახელება და მისამართი;
- შენახვის ვადა (გამონაკლისი შემთხვევების გარდა); შენახვის პირობები და გამოყენების წესი (საჭიროების შემთხვევაში);
- ტექნიკური რეგლამენტის და სტანდარტის დასახელება, რომლის მოთხოვნების შესაბამისად
- მოხდა პროდუქტის დამზადება;
- ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების რაოდენობრივი შემცველობა და ენერგეტიკული ღირებულება;
- წარწერა „გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი“ (გმო), თუ გენეტიკურად მოდიფიცირებული კომპონენტები სურსათის საერთო მასის 0,9%-ზე მეტია;



ტექნიკური რეგლამენტი

ტექნიკური რეგლამენტი სავალდებულოდ შესასრულებელი ტექნიკური ნორმების შემცველი აქტია, რომელიც მიიღება საქართველოს მთავრობის დადგენილების ან კანონის ფორმით. ის ადგენს პროდუქტის და წარმოების პროცესში უსაფრთხოების, უვნებლობის ძირითად პარამეტრებს.

ძირითადი ტექნიკური რეგლამენტები 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით (www.matsne.gov.ge):

1. თხილის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

მიზნად ისახავს ექსპორტისათვის განკუთვნილი თხილის რეგულირების პრინციპების განსაზღვრას.

2. თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

მიზნად ისახავს თაფლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

3. რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი

მიზნად ისახავს, რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

4. ტექნიკური რეგლამენტი – საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი

მიზნად ისახავს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვას და საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე ეტიკეტირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

» **ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ**

სტანდარტი

სტანდარტი კონსენსუსის საფუძველზე შემუშავებული, სტანდარტების ორგანოს მიერ რეგისტრირებული დოკუმენტია, რომელიც საყოველთაო და მრავალჯერადი გამოყენებისათვის ადგენს წესებს, ზოგად პრინციპებს, მახასიათებლებს სხვადასხვა სფეროში ოპტიმიზაციის და თავსებადობის მისაღწევად.

ევროკავშირის ბაზარზე პროდუქციის შეტანისათვის მეწარმემ უნდა მოახდინოს ევროპული ან/და საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება, რაც არის ნებაყოფლობითი და უზრუნველყოფს მისი პროდუქტის ან მომსახურების უსაფრთხოებას, ხარისხს და შესაბამისად კონკურენტუნარიანობას - როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზრებზე.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა (HACCP)

1	2	3	4
პირველადი წარმოების სანიმუშო პრაქტიკა	წარმოების სანიმუშო პრაქტიკა	წინასწარი აუცილებელი პროგრამები	HACCP

1. საქართველოს კანონმდებლობით, 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, HACCP-ის დანერგვა სავალდებულოა:
- » სასაკლაოებისთვის
- » ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის

2. ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, HACCP-ის დანერგვა სავალდებულოა:
- » წარმოების ყველა დონეზე, პირველადი წარმოების გარდა

1. საფრთხის დადგენა და შეფასება
2. კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა
3. კრიტიკული ზღვრების დაწესება
4. მონიტორინგის პროცესის დაწესება
5. მაკორექტირებელი ქმედებების დაწესება
6. გადამოწმების ქმედებების დაწესება
7. ჩანაწერების წარმოების პროცედურების დაწესება

GLOBALG.A.P.-ის სტანდარტი

- » დამოუკიდებელი სასერტიფიკაციო სქემა;
- » ინერგება პირველად წარმოებაში; ნებაყოფლობითია;
- » დანერგვა შეუძლიათ მხოლოდ ფერმერულ მეურნეობებს;

(www.globalgap.org)

სერტიფიცირებისთვის განსახორციელებელი ეტაპები:

აკრედიტებული სერტიფიცირების ორგანოები ასევე აღიარებული უნდა იყვნენ GLOBALG.A.P.-ის მიერ

წარმატებული სერტიფიცირებისთვის კომპანიამ უნდა დააკმაყოფილოს:

აუცილებელი მოთხოვნა (სულ 87) – სავალდებულოა მოთხოვნების 100% (რაც კომპანიის საქმიანობას შეესაბამება)

მეორეხარისხოვანი მოთხოვნა (სულ 113) – სავალდებულოა მოთხოვნების 95% (რაც კომპანიის საქმიანობას შეესაბამება)

რეკომენდებული მოთხოვნა (სულ 18) – მინიმალური ზღვარი დაწესებული არ არის.

ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე

პროდუქტი, ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას, ხვდება ორი ტიპის ბარიერს – სატარიფო და არასატარიფო ბარიერს.

სატარიფო ბარიერი - საბაჟო გადასახადი
არასატარიფო ბარიერი - პროდუქციის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები

ქართული წარმოშობის პროდუქტები, სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში, საბაჟო ტარიფის გარეშე შედის ევროკავშირის ბაზარზე.

არსებობს რამდენიმე გამონაკლისი:

შესვლის ფასი

28 სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე მოქმედებს ევროკავშირში „შესვლის ფასი“, რაც გულისხმობს ამ პროდუქტების იმპორტზე მინიმალური ფასის ზღვარის დადგენას. პროდუქტების ჩამონათვალი იხილეთ ბმულზე: www.dcfta.gov.ge

გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი

სოფლის მეურნეობისა და კვების გადამამუშავებელი პროდუქციის 277 სახეობა ექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს. ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე შეთანხმებაში მოცემულია წლიური ფიქსირებული რაოდენობები. ეს რაოდენობები არ არის ქვოტა, რადგან მათი გაზრდა ქვოტისგან განსხვავებით მარტივად არის შესაძლებელი. 277 პროდუქტის სახეობის დეტალური სია იხილეთ ბმულზე: www.dcfta.gov.ge

სატარიფო ქვოტა

ქვოტა დაწესებულია მხოლოდ ნიორზე 220 ტონის ოდენობით.

საქონლის წარმოშობის წესები

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის სარგებლობისთვის, საქართველოში წარმოებულმა პროდუქტმა უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობის კრიტერიუმები. თითოეულ პროდუქციაზე წარმოშობის წესები აღწერილია შეთანხმების ოქმში, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: www.dcfta.gov.ge

არასატარიფო ბარიერები

ხელშეკრულების მიხედვით, ეტაპობრივად იხსნება არასატარიფო ბარიერები.

არასატარიფო ბარიერებია: ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, სტანდარტების მოთხოვნები და პროდუქტის/პროცესის შესაბამისობის შეფასება (სერტიფიცირება).

სურსათის უვნებლობა

ქართულმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ, ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას, უნდა დააკმაყოფილოს სურსათის უვნებლობის შესაბამისი მოთხოვნები. დაბალი რისკის სურსათი (მაგალითად, სხვადასხვა სახის ხილი და ბოსტნეული) შედარებით უფრო მარტივად შედის ევროკავშირში.

გადამუშავებული და მაღალი რისკის სურსათის ევროკავშირის ბაზარზე გატანისათვის უნდა დავაკმაყოფილოთ სამი მთავარი მოთხოვნა:

- შიგთავსი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მოთხოვნებს.
- უნდა არსებობდეს პროდუქტის შესახებ ინფორმაციათა მთელი ჯაჭვი და აწარმოებდეს შესაბამის ლაბორატორიულ ანალიზებს საკუთარი პროდუქტის უვნებლობის დასადგენად.
- საქართველოში უნდა არსებობდეს ევროკავშირში არსებული კონტროლის მექანიზმის (ინსპექტირება, ზედამხედველობა და ა.შ) მსგავსი სისტემა.

დამწყები ექსპორტიორების საყურადღებოდ

01 **შეამოწმეთ ექსპორტის მზაობა**

02 **შეარჩიეთ სამიზნე ბაზრები საექსპორტო სიმძლავრეებთან მიმართებაში**

03 **შეისწავლეთ სამიზნე ბაზრების თავისებურებები**

04 **შეისწავლეთ სამიზნე ბაზრები ადგილზე**

05 **შეიმუშავეთ მარკეტინგული გეგმა და მიჰყევით მას**

სასარგებლო ინფორმაცია

სახელმწიფო პროექტები

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო - www.apma.ge

- დანერგე მომავალი
- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა
- აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა
- შეღავათიანი აგროკრედიტი
- გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი
- აგროდაზღვევა

აწარმოე საქართველოში www.enterprisegeorgia.gov.ge

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო www.acda.gov.ge

- თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერის გზით
- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა
- მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა
- მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამა
- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა

ინფორმაცია ექსპორტიორებისთვის

EU Trade Helpdesk - http://trade.ec.europa.eu/tradehelp/
International Trade Center - http://www.intracen.org/
Centre for the Promotion of Imports from developing countries - https://www.cbi.eu/

დონორები/საერთაშორისო ორგანიზაციები

EU ENPARD - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა www.enpard.ge

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა www.undp.ge

USAID/REAP - საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი www.reap.ge

UN FAO - გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნობის ორგანიზაცია www.fao.org/georgia

მერსი ქორფსის ქვემო ქართლის ალიანსი: www.alcp.ge

პროექტი „ზრდა“ - შერჩეულ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა www.zrda.ge

SDC - შვეიცარიის თანამშრომლობის სააგენტო www.eda.admin.ch/sdc

ADA - ავსტრიის განვითარების სააგენტო www.entwicklung.at

DANIDA - დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო http://um.dk/en/danida-en/

IFAD - სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი www.ifad.org

USDA - აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი www.usda.gov

დამატებითი კითხვებისთვის მოგვმართეთ:

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
www.gfa.org.ge
032 2 193 003

ექსპორტის განვითარების ასოციაცია
www.eda.org.ge
032 2147498

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET PI)
www.iset-pi.ge
032 250 71 77

სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
www.cida.ge
0341 25 88 22

Fassi@gfa.org.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ასოციაცია „ათინათი“, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA), ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA) და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.“